საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-520

28/06/2018

ქ. თბილისი

შპს „ჯეო პლოიმერის“ ქალაქ თბილისში ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს “ჯეო პლოიმერის“ მიერ წარმოდგენილია, ქ. თბილისში შპს “ჯეო პლოიმერის “ ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს „ჯეო პლოიმერის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს შერჩეული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, აღნიშნული ტერიტორია მთლიანად წარმოადგენს ანგარის ტიპის შენობას ფართით 15191 მ^2, რომლის 850 მ^2 იჯარით აქვს აღებული (ს.კ.01.19.14.004/071). აღნიშნულ ფართზე განთავსებული იქნება პოლიეთილენისა და პოლიპრიპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოსათვის საჭირო დანადგარები. მოსახლეობა საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 900 მეტრით. მდინარე ლოჭინი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 200მ.

საწარმოში დაგეგმილია საქართველში იმპორტირებული და ასევე სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებიდან და მოსახლეობიდან არასახიფათო პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტარისა და პარკების მიღება და გადამუშავება. საწარმოში არ ხდება ნავთობპროდუქტებით და სხვა სახიფათო მასალებით დაბინძურებული პოლიეთილენის მიღება. აღნიშნული ნარჩენების დროებითი დასაწყობება განხორციელდება საწარმოსათვის გამოყოფილ შენობის ნაწილში, რომელიც დახურულია და იატაკი მობეტონებულია.

საწარმო მიიღებს მხოლოდ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტარისა და პარკების სუფთა ნარჩენებს. წარმოებაში მეორადი პოლიეთილენის მიღების შემდეგ ხდება მისი გადარჩევა. საწარმოში შემოტანილი და გადარჩეული პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მიწოდება ლენტური ტრანსპორტიორით განხორციელდება დამაქუცმაცებელ დანადგარზე, რომლის წარმადობაა 300 კგ/სთ-ში. დაქუცმაცებული ნარჩენები შემდგომ ტრანსპორტიორით გადაიტანება წყლის ორ ავზში მიმდევრობით (ჯერ პირველ ავზში, ხოლო შემდგომ მეორე წყლის ავზში, სადაც ხორციელდება მათი გარეცხვა. თითოეულ ავზში განთავსებულია 1 მ^3 წყალი). შემდგომში გარეცხილი დაქუცმაცებული ნარჩენები გადადის ბუნკერში, სადაც ელექტროენერგიის ხარჯზე ხორციელდება მათი გაშრობა. პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გარეცხვისას გამოყენებული წყლის გამოცვლა მოხდება თვეში ერთხელ და ჩაშვებული იქნება საკანალიზაციო სისტემაში. გამშრალი დაქუცმაცებული მასა შემდგომ გადადის გრანულატორის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება გრანულატორს. გრანულატორში

მათი გაცხელება ელექტროენერგიის საშუალებით ხორციელდება 250 გრადუს ტემპერატურამდე და შემდგომ გაციებითა და დაჭრით მიიღება გრანულები.

ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობა 300 კგ/სთ-ში და წელიწადში 1584 ტონა პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის მეორადი გრანულები.

საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე, სასმელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

ჩამდინარე წყლები და ასევე საწარმოო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის, რომლის წლიური რაოდენობა იქნება 24მ^3 ჩაშვებულ იქნება ქალაქ თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

გზშ-ს ანგარიშს თან ახლავს ხმაურთან დაკავშირებული გათვლები, რომლის მიხედვით ჩანს, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის მოსალოდნელი დონე დაშვებულ ნორმებზე გაცილებით დაბალია, რადგან ხმაურის გამომწვევი დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში (რომელიც საგრძნობლად ამცირებს მის სიდიდეს) შესაბამისად რაიმე სახის პრევენციული ღონისძიებები არ არის საჭირო.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საწარმოს განთავსების ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, რის გამოც ადგილობრივ ფაუნასა და ფლორაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ობიექტის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა, ნახშირჟანგი.

შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებულია ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი''

გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ატმოსფერული ჰაერის, ნარჩენების, წყლის. ბიომრავალფეროვნებისა და დაბინძურების მონიტორინგის), რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება, შპს “ჯეო პლოიმერს“ ნარჩენების აღდგენის-პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე ქ. თბილისში, სადგური ლილო.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

3. შპს „ჯეო პლოიმერმა“ საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:
   3.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებისა და შესაძლო ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად;
   3.2 საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების დაცვა;
   3.3 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეათანხმოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანებით დამტკიცებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;
   3.4 უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
   3.5 საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
   3.6 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს “ ჯეო პლოიმერს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს“ჯეო პლოიმერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი